პროლეტარელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 182 (3666)

15 1968 წ. სექტემბერი. კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 25-ე წელი.

ჯერ კიდევ

● საუტ-ლეიკ-ტაოო, 14 სექტემბერი. ამერიკელ მძლეოსანთა ოლიმპიადის პიური შესარჩევი შეჯიბრების მორიგი დღე რეკორდებით არ ყოფილა. ერმა ცა რამდენიმე მაღალი შედეგით „ბინგ" დამთავრდა. სამხტომი მოიგო ქვეყნის რეკორდსმენმა ა. უოკერმა — 16 მ. 83 სმ. 110 მ. თარჯრბენში ტოლი არ ყავდა ვ. დავენპორტს — 13,4 (სეზონის უმაღლესი მიღწევის (13,3) ავტორი რ. ფლაუერსი ამჯერად V იყო — 13,7). ურო ყველაზე შორს ტყორცნა ვ. ბურკემ — 68,96 მ. მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონი, 37 წლის ჯ. კონოლი III იყო — 65,13 მ. იგი მეოთხედ ისახარებს ოლიმპიადაში. 5000 მ. რბენა მოიგო ბ. დეიმ — 14.37,4.

სსრ კავშირის პირველობა

მცველთა პასიურობის ნაყოფი

ჭკუჭკვი, გოლკვი, ჯეტოკვი

10 სექტემბერს დაიწყო და 13 სექტემბერს დამთავრდა ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის XXVII ტური, რომელიც თამამად შეიძლება მივიჩნიოთ ერთ-ერთ ყველაზე უინტერესო ტურად.

4 დღის მანძილზე სატურნირო ცხრილის ზედა ნახევარში არსებითი ცვლილება არ მომხდარა. გათამაშების ლიდერმა კიევის „დინამომ" დაკარგა ქულა, მაგრამ ქულა დაკარგა მოსკოვის „სპარტაკაც", ერთადერთმა გუნდმა, რომელიც ასე თუ ისე მეტოქეობას უწევს ლიდერს. ლიდერთა სამეული კიევის „დინამო", მოსკოვის „სპარტაკი" და მოსკოვის „ტორპედო") ძველი მწყობრით მიჰყვება ერთმანეთს.

ასევე არ შეცვლილა მდგომარეობა აუტსაიდერთა შორის. ბოლო სამი გუნდი (ალმა-ათის „კაირატი", ტაშკენტის „პახტაკორი" და კიროვაბადის „დინამო") გაფფრთვეული იბრძვის „ა" კლასს უმაღლეს ლიგაში დასარჩენად, მაგრამ ჯერჯერობით მათი პერსპექტივები, განსაკუთრებით კი კიროვაბადელთა, უიმედოა.

განვლილმა ტურმა სატურნირო ცხრილში თითო ადგილით დააწინაურა: მოსკოვის „დინამო", დონეცკის „შახტიორი", კუბიშევის „კრილია სოვეტოვი", ლუგანსკის „ზარია" და ქუთაისის „ტორპედო". ეს კი იმას ნიშნავს, რომ შესაბამისად, თითო საფეხურით დაბლა დაეშვნენ: თბილისის „დინამო", ლენინგრადის „ზენიტი", როსტოვის ასკ. „ნეფტჩი" და ერევნის „არარატი".

XXVII ტურში სულ გატარდა 14 ბურთი. ყველაზე პოპულარული შედეგი იყო 1:0 (ასეთი ანგარიშით დამთავრდა 4 მატჩი). 4 მატჩში აღინიშნა ფრე. მასპინძლებმა თავის სასარგებლოდ დაამთავრეს 4 შეხვედრა, სტუმრებმა კი — 2. ასეთია განვლილი ტურის სტატისტიკა. ახლა კი გოლების ავტორთა შესახებ.

მოსკოვის „ტორპედოსა" და „პახტაკორის" მატჩში (2:1) სამივე გოლის ავტორი იმსახურებს ქებას. ლამაზი ბურთები გაიტანეს: ტორპედოელებმა ლენიოვმა (44 წ.), სტრელცოვმა (74) და ტაშკენტელმა კრასნიცკიმ (76).

დედაქალაქის „დინამოს" და „ჩერნომორეცის" ორთაბრძოლაში (1:1) ორივე ბურთი დინამოელებმა გაიტანეს, მაგრამ შეხვედრა მაინც ფრედ დამთავრდა. საქმე ის გახლავთ, რომ კოზლოვის გოლს მუდრიკმა კიდევ ერთი გოლით უპასუხა, ოღონდ, საკუთარ კარში.

„ზენიტისა" და „ლოკომოტივის" (1:1) შეხვედრა მიმდინარეობდა ტიპიურ „ლენინგრადულ" პირობებში — კოკისპირული წვიმის ქვეშ. ანგარიში გახსნეს მასპინძლებმა (ნეშტა). საპასუხო გოლის ავტორია პეტროვი.

ბაქოს „ნეფტჩი" საკუთარ მინდორზე დამარცხდა როსტოვის არმიელთაგან (0:1). ერთადერთი გოლი აზერბაიჯანელთა კარში გაიტანა ახალგაზრდა როსტოველმა ბუროვმა. გასული ჩემპიონატის პრიზიორმა სატურნირო ცხრილში მე-12 დამარცხება ჩაიწერა.

თავის მინდორზე დამარცხდა „კაირატიც" (0:1). „კრილია სოვეტოვის" თავდამსხმელმა სტარკოვმა გაიტანა ბურთი, რომელმაც ვოლგელებს 2 ქულა მოუტანა.

ორ მატჩში არ გახსნილა ანგარიში. მშვიდობიანად დაზავდნენ ცსკა — კიევის „დინამო" და მინსკის „დინამო" — „სპარტაკი".

ლუგანსკის „ზარიას" ფეხბურთელებმა მინიმალური ანგარიშით დაამარცხეს „არარატი" — 1:0. გოლის ავტორია ბ. სტრელცოვი.

„ა" ჯგუფი

„შახტიორი" (დონეცკი) — „დინამო" (თბილისი) 1:0 (0:0).

„შახტიორი": გოვოროვი, პოლაკი, სტრელცოვი, გოლოვკო, გუბიჩი, გრიგორიევი, ტლიარუგოვი, გლოდიამისი, ევსეევენკო (შალიჩევი), ორლოვი (ოგირჩუკი), იარემჩენკო.

„დინამო": ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, რეხვიაშვილი (შესხი), პეტრიაშვილი, ილიადი, მაჩაიძე (ცუტიკაძე), მეტრეველი, ნოდია, გავაშელი.

მსაჯი ნ. ბოლოტნიკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 3:0 „შახტიორის" სასარგებლოდ.

დონეცკის ფეხბურთელებმა თავის მოედანზე ბოლო მატჩი 22 აგვისტოს გამართეს. მას შემდეგ გუნდი ხანგრძლივ ტურნეში იმყოფებოდა და ცხადია ადგილობრივი გულშემატკივრები, მონატრებული იყვნენ მის თამაშს. „შახტიორი" ამ დღეს განსაკუთრებით იყო მონდომებული იმიტომაც, რომ მინსკში წაგებული მატჩის შემდეგ თავის მოედანზე ცდილობდა მდგომარეობის გამოსწორებას.

თბილისის დინამოელთათვის „შახტიორი" მუდამ უხერხულ მეტოქედ ითვლებოდა. გაიხსენეთ თუნდაც ამ გუნდების პირველი წრის მატჩი, რომელიც შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ ფრედ დამთავრდა (1:1). „შახტიორის" მწვრთნელმა ამ შეხვედრაში დასვენა რამდენიმე მოთამაშე, მათ შორის ვეტერანები: ზელეკიავიჩუსი, კოროლი და ასპარეზი ახალგაზრდებს დაუთმო, რომელთა მონდომებასა და ენერგიას გადამწყვეტი სიტყვა უნდა ეთქვა.

მართლაც, პირველ ტაიმში დონეცკელთა ტერიტორიული უპირატესობა უდავო იყო, მაგრამ ეს უპირატესობა მინდვრის შუაგულს არ გასცილებია, ამიტომაც თბილისელთა მეკარე მთელი 45 წუთის მანძილზე ფაქტიურად უმოქმედობდა. გაცილებით უფრო საშიში და დასამახსოვრებელი იყო დინამოელთა კონტრშეტევები და რომ დონეცკელთა დაცვისა და მეკარის თავგამოდებული თამაში არა, სტუმრები აუცილებლად მიაღწევდნენ უპირატესობას პირველსავე ტაიმში.



„ბ" ჯგუფი

13 სექტემბერს გაიმართა მორიგი ტურის მატჩები. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ:

ქობულეთიდან...

გათამაშების ლიდერმა კიროვაკანის „ლორმა", რომელმაც ორი მატჩი უკვე დათმო საქართველოს გუნდებთან, ამ დღეს მორიგი მარცხი განიცადა. თუმცა ქობულეთის „შუქურასთან" შეხვედრის დასაწყისი სტუმრებისთვის საკმაოდ პერსპექტიული იყო: კიროვაკანელთა თავდამსხმელმა ჩზმაჩიანმა ძლიერი დარტყმით დააწინაურა თავისი გუნდი. ეს იყო სტუმრების პირველი და უკანასკნელი წარმატება. 43-ე წუთზე „ლორის" კარისკენ დაინიშნა საჯარიმო. თარხნიშვილმა ზუსტად ჩააწოდა მანელიშვილს, რომელმაც ლამაზი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში. შესვენების შემდეგ ურუშაძემ წინ გაიყვანა თავისი გუნდი. ამას მოჰყვა შაფათავასა და ისევ ურუშაძის კიდევ თითო გოლი და შეხვედრაც დამთავრდა ქობულეთელთა გამარჯვებით, ანგარიშით — 4:1.

ლ. ტრაპაიძე.

თელავიდან...

ფეხბურთის ადგილობრივი გულშემატკივრები ინტერესით ელოდნენ „კახეთისა" და სოხუმის დინამოელთა ორთაბრძოლას. წინასწარ უნდა ვთქვათ; სტუმრების თამაშმა მოლოდინი გაამართლა. სოხუმის „დინამომ" გვიჩვენა ლამაზი, გააზრებული და ტექნიკური ფეხბურთი. მათი გამარჯვება დამსახურებული იყო. ანგარიში გაიხსნა მატჩის პირველსავე წუთზე. წოწორიამ ოსტატური დრიბლინგით გვერდი აუარა თელაველთა რამდენიმე მცველს და „დინამო" დაწინაურდა. 59-ე წუთზე „კახეთის" მცველმა ასატუროვმა ზუსტად ჩააწოდა ბურთი იოსებაშვილს და ამ უკანასკნელმა თავური დარტყმით ანგარიში გაათანაბრა. 61-ე წუთზე სოხუმელმა დელბამ კვლავ წინ გაიყვანა „დინამო", ხოლო 10 წუთის შემდეგ იმავე დელბასა და წოწორიას კომბინაცია გოლით დასრულდა. სოხუმელებმა გაიმარჯვეს — 3:1.

ხ. ოხანაშვილი.

„ჯ" ჯგუფი

„ტორპედო" (ქუთაისი) — „ალმა-ათა" (ალმა-ათა) 2:1 (0:1).

„ტორპედო": ბაბაიანი, ბოლოკაძე, ბერიძე, ბაბალაძე, ბაბალიკაშვილი, ბაბალიკაშვილი, ბაბალიკაშვილი, ბაბალიკაშვილი, ბაბალიკაშვილი, ბაბალიკაშვილი, ბაბალიკაშვილი.

„ალმა-ათა": ...

„ტორპედო" (ქუთაისი) — „ალმა-ათა" (ალმა-ათა) 2:1 (0:1).

„ტორპედო": ...

რა მოუვიდა მეტრეველს?

სპორტის ბევრი გულშემატკივარი მოუთმენლად ელოდება 18 ოქტომბერს. ამ დღეს თბილისში სტარტს აიღებს წლევანდელი საჩოგბურთო სეზონის ერთადერთი ცენტრალური შეჯიბრება — სსრ კავშირის პირად-გუნდური ჩემპიონატი. განსაკუთრებით საინტერესო იქნება პირადი პირველობა, რომელიც თბილისში 11-წლიანი შესვენების შემდეგ ეწყობა. რა თქმა უნდა, გულშემატკივრები იმედოვნებენ პირველად ნახონ თავიანთი კერპის — ალექსანდრე მეტრეველის გამოსვლა ასეთ დიდ ტურნირში. სჯერათ, რომ მას მიესალმებიან გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე, სადაც, როგორც წესი, მეტრეველმა წლეულს მესამედ უნდა დაიკავოს უმაღლესი საფეხური.

შესძლებს თუ არა მეტრეველი თბილისში ასპარეზობას? ოქტომბრის შუა რიცხვებამდე გამოჯანმრთელდება თუ არა იგი? ამ კითხვებს ხშირად იძლევიან ჩოგბურთის უყვარულნი აღიარებული გულშემატკივრები და მათი შიში უსაფუძვლო როდია. ძნელია დააკმაყოფილო დაინტერესებულთა სურვილები, მაგრამ მე მაინც გიამბობთ იმაზე, თუ რა ბედი ეწია მეტრეველს, რატომ დადგა დღის წესრიგში მისი საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობის საკითხი.

თბილისელის „უბედურება“ ჯერ კიდევ ივლისში, ლონდონში მიმდინარე უიმბლდონის ტურნირის დასკვნით მატჩში დაიწყო. მეტრეველმა ერთი მეორის მიყოლებით ტრიუმფალურად გაიარა 5 წრე, დაამარცხა ისეთი ძლიერი მეტოჭეთა წყვილები, როგორებიცაა ნ. რიჩი (აშშ) — ტ. ოკერი (ნიდერლანდები), მ. კაზალსი — რ. გონსალესი (აშშ), ა. ჯეისი (ინგლისი) — ფ. სტოლე (ავსტრალია). ჩვენი „შიკსტა“ ფინალში მ. სმით-კორტისა და კ. ფლეტჩერის (ავსტრალია) წინააღმდეგ თამაშობდა. მეორე პარტიის შუა თამაშში ძლიერი მკვეთრი მოძრაობისას მეტრეველი ბალახზე დაეცა და მძიმედ დაიზიანა მარჯვენა ხელის მტევანი. ტრავმის მიუხედავად თბილისელმა ბრძოლა როდი შეწყვიტა, და ვინ იცის, ეს სამწუხარო შემთხვევა რომ არა, რითი დამთავრდებოდა ამ საინტერესო მატჩის, ფაქტიურად, მსოფლიოს არაოფიციალური პირველობის წყვილთა დუელი.

სპორტსმენს ხელი გაუსივდა და რამდენიმე დღეს ჩოგნის აღებაც არ შეეძლო. ბოსტადში სკანდინავიის ღია ჩემპიონატში მონაწილეობის ნაცვლად, ალექსანდრე სამკურნალოდ შინ გაემგზავრა.

ნატკენი ხელი ნელა, მაგრამ სიმედოდ ურჩებოდა, თუმცა კორტზე სავარჯიშოდ გასვლა ჯერ კიდევ არ შეეძლო. მაშინ მეტრეველმა გადაწყვიტა სპორტული ფორმის შესანარჩუნებლად საერთო ფიზმომზადებაში ევარჯიშა. იგი ხელიდან არ უშვებდა წვრთნისთვის ყველა საჭირო მომენტს, განსაკუთრებით ფეხბურთს ეტანებოდა. და აი, ერთ-ერთი საწვრთნელი თამაშისას წვიშით დასველებულ მინდორზე უხეიროდ მოწოდებული ბურთის მიღებისას ფეხი დაიზიანა. მალე მუხლის არეში ისეთი მწვავე ტკივილი შეიგრძნო, რომ ფეხზე დგომა ვერ შეძლო. ექიმების დიაგნოზი ასეთი იყო: კუნთის დაჭიმვა. ახლა იმდენად ხელს კი არ მკურნალობდნენ, რამდენადაც ფეხს.

„.. ჩოგბურთში მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი ახლოვდებოდა. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონს გული მასში მონაწილეობისკენ მიუწევდა. თუმცა ფეხი ჯერ კიდევ სტკიოდა, იგი ლუჟნიკის კორტზე მაინც გამოვიდა. ვიდრე ვარჯიშობდა და იოლ პარტიებს თამაშობდა, თითქოს არა უშავდა, მაგრამ ბრძოლები თანდათან გამწვავდა, უფრო და უფრო ძლიერ მეტოქეებთან შეხვედრები მოუწია, ნახევარფინალში ჩოგანი ლიხაჩოვთან გადააჭდო. ბრძოლის დაძაბულობამ ზენიტს მიაღწია. მეტრეველი უფრო სწრაფად მოძრაობდა და მუხლის ტკივილმაც გაუხსენა. თბილისელმა მატჩი წააგო თავის მუდმივ მეწყვილესთან და იძულებული გახდა ტურნირი მიეტოვებინა.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, გამოჩენილ საბჭოთა ქირურგთან, პროფესორ ზ. მირონოვასთან მიიყვანეს. იგი ახალგაზრდობაში ჩვენი ჭვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო მოცეცურე იყო. სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ყველაზე უკეთ იცის როგორ უნდა დასვას სპორტული ტრავმის ზუსტი დიაგნოზი და შემდეგ რა მეთოდებით უმკურნალოს.

მირონოვამ მეტრეველის მუხლში აღმოაჩინა ე. წ. ფეხბურთელთა ავადმყოფობა — მენისკის დაზიანება. მკურნალის წინაშე წამოიჭრა დილემა: მუხლის არეში გაეკეთებინა ოპერაცია, თუ მენისკისთვის დანის ჩაურეველად ემკურნალა. პროფესორმა მიზანშეწონილად სცნო საბჭოთა კავშირის ჩემპიონისთვის ჰიდროკარდიზოილის ნემსების დახმარებითა და ფიზიოთერაპიის კურსით ემკურნალა, მას ხომ ასეთი პრაქტიკა აქვს და მუდამ წარმატებასაც აღწევს. მაგრამ ეგ იყო, ამგვარი მკურნალობა 2-3 კვირას მოითხოვდა...

მინდა მჯეროდეს, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება, რომ მეტრეველი მალე მთელი ძალით დადგება ფეხზე, რომ მის ვირტუოზულ თამაშს იხილავენ თბილისელი მაყურებლები.

კ. ვიქტოროვი.

რედაქციისაგან: გუშინ დავუკავშირდით ალექსანდრეს მამას, ი. მეტრეველს და ვთხოვეთ ეამბნა შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. მან გვითხრა, რომ მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ ალექსანდრე მკურნალობდა რესპუბლიკის ფიზკულტურის საექიმო დისპანსერში, ამ დღეებში კი შავი ზღვის სანაპიროზე გაემგზავრება. მამას იმედი აქვს, რომ მისი ვაჟი მთელი ძალით იბრძოლებს ჩემპიონის ტიტულის დასაცავად.



ხურათზე: ა. მეტრეველ — ს. ლიხაჩოვის წყვილის შეხვედრის მომენტი იტალიელებთან დევისის თასის წლევანდელ გათამაშებაში.

ჯანმრთელობისა და სიმხნევის მსახური

ახლა არავინ დავობს, რომ ადამიანის ფიზიკური თუ სულიერი თვისებების ჩამოყალიბებაზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს ოჯახურ წრეს, გარემოს, რომელშიც ყალიბდება პიროვნება.

ამის ნათელი დადასტურებაა ექიმის, საკავშირო კატეგორიის მსაჯის ანზორ ჭიჭინაძის მაგალითი. ოჯახში, სადაც ლერი (ასე ეძახიან ანზორს მეგობრები) გაიზარდა, განსაკუთრებით უყვართ სპორტი და ბავშვებს თავიდანვე უნერგავდნენ ფიზიკური კულტურისადმი სიყვარულს.

სკოლაში წარჩინებით სწავლასთან ერთად ლერი გატაცებით დანავარდობდა ველოსიპედზე და თუ ბავშვობაში ეს მხოლოდ გატაცება იყო, ჭაბუკობაში იგი სერიოზულ საქმიანობად იქცა.

18 წლის ჭაბუკი 1953 წელს ამთავრებს თბილისის ვაჟთა 37-ე საშუალო სკოლას და ერთი შემთხვევა რომ არა, იგი ექიმი ვერ გახდებოდა. დამამთავრებელ კლასში დრო ყოველთვის როდი გრჩება სპორტსაც მიხედო და ანზორი აქაც დაუოკებელ ენერგიას ამჟღავნებს: ქალაქის პირველობაში გამოდის და ასპარეზობის დროს ლავიწის ძვლის მოტეხილობას იღებს. ჭაბუკის ოცნებას — გახდეს ცხობილი ველოსიპედისტი, ფრთები ეკვეცება. და აი, ერთ ასეთ ნაღვლიან დღეს ლერის ებადება სურვილი ექიმი გახდეს: გამოჯანსაღების სურვილი ჭაბუკს უბიძგებს ეძებოს გზები, საყვარელ სპორტს რომ დაუბრუნდეს.

აქ მას მხარში ამოუდგება უფროსი და ეთერი, რომელიც რესპუბლიკის ნაკრების წევრი იყო და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი გამოდევნებით გუნდურ რბოლაში. უფროსი დის გავლენა იმაში გამოიხატა, რომ ლერი ველოსიპედისტი გახდა, მაგრამ პროფესიის არჩევანში მან მტკიცედ გადაწყვიტა ექიმი გამხდარიყო. ეთერის უფრო ჰუმანიტარული მეცნიერება იზიდავდა და იგი ახლა ტელეეურნალისტია.

ჭაბუკის ოცნებას მალე როდი შეესხა ფრთები. იგი მუშაობს და არ კარგავს დროს — გულმოდგინედ ემზადება სამედიცინო ინსტიტუტში შესასვლელად. 1957 წელს ლერი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი ხდება. ერთი წლის შემდეგ ჯანმრთელობის გაუარესების გამო, იძულებულია ბაქოს სამედიცინო ინსტიტუტში გადავიდეს. 1964 წელს ლერი ექიმის დიპლომს იღებს და მუშაობას იწყებს აზერბაიჯანის სპორტკავშირში. ბაქოში სწავლის პერიოდში მართალია, აქტიურ სპორტს მოეშვა, მაგრამ საყვარელ სახეობას ახლა უკვე მსაჯის როლში მოევლინა. მას ხშირად ხედავენ რესპუბლიკურ თუ საქალაქო შეჯიბრებებში მსაჯად. 1962 წელს ლერი რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ხდება. სპორტკავშირში მუშაობის პარალელურად, ქალაქის ერთ-ერთ საავადმყოფოში ქირურგად მოღვაწეობს. ვინ იცის მის მარჯვენას რამდენი ადამიანის სიცოცხლე გადაურჩენია! 1967 წლიდან ჭიჭინაძე სამუშაოდ გადმოდის თბილისში—ი. ჟორდანიას სახელობის ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის ინსტიტუტში. ბაქოში მუშაობის პერიოდში ტრავიკული შემთხვევის გამო ლერიმ მარჯვენა ხელის მძიმე ჭრილობა მიიღო. ტრავმა იმდენად მძიმე იყო, რომ ექიმები ურჩევდნენ მარჯვენა ხელის მოკვეთას. სპორტსმენის ნებისყოფამ და საქმისადმი დიდმა სიყვარულმა შეუძლებელი შეაძლებინა — ხელი შენარჩუნებულ იქნა, მაგრამ ლერი სამუდამოდ გამოეშშვიდობა ქირურგის სკალპელს.

ლ. ჭიჭინაძე მარტო ველოსპორტით როდია გატაცებული. იგი დაინტერესებულია სპორტის სხვა სახეობებითაც. განსაკუთრებით იზიდავს კალათბურთი, ხელბურთი, ჭადრაკი და რა თქმა უნდა, ფეხბურთი.

შარშან სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაზე ლერი მიწვეული იყო მსაჯად. სპარტაკიადის დამთავრების შემდეგ მას საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭა.

ექიმი და საკავშირო კატეგორიის მსაჯი ლერი ჭიჭინაძე აღსავსეა შემოქმედებითი ენერგიით. ახალ-ახალი გამარჯვებები ვუსურვოთ მას როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ა. ცეხანელი.

• • •

ხურათებზე: მარცხნივ — ა. ჭიჭინაძე ლაბორატორიაში მუშაობის დროს; მარჯვნივ — სამსაჯო პოსტზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.





სარბენი ბილიკი

1200 ნორჩი გულის ფეთქვა

არნახული აღმავლობით ჩატარდა ზუგდიდის მოსწავლეთა წლევანდელი სპარტაკიადა, რომელშიც 1200-მა ნორჩმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. ბავშვები 12 სახეობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

თავი ისახელა 1-ლი სკოლის კოლექტივმა (ფიზკულტურის მასწავლებლები თ. ჭითანავა და ა. დიდიშვილი), რომელმაც I ადგილი და გარდამავალი თასი დაიპაკუთრა. ნორჩმა სპორტსმენებმა პირველობა მოიხვეჭეს ფეხბურთში, მძლეოსნობაში, მაგიდის ჩოგბურთში (ვაჟები) და ტყვიის სროლაში.

II ადგილი დაიკავა მე-4 (ფიზკულტურის მასწავლებლები რ. კუტალია და ო. დარასელია), III — მე-3 სკოლამ (ფიზკულტურის მასწავლებელი კ. შეხგელია). მეოთხე სკოლელებს არც ერთი პირველი ადგილი არ დაუკავებიათ (სახეობებში ქულები ძირითადად მათ II-III ადგილებით ჩაიწერეს). შენგელიას აღზრდილებმა ტანვარჯიშში ჩემპიონობა დაისაკუთრეს.

აღსანიშნავია მე-6 საშუალო სკოლის (მასწავლებელი ა. ქირია) აღსაზრდელთა წარმატება. მათ პირველობა არავის დაუთმეს ხელბურთში (გაიმარჯვეს გოგონებმაც და ჭაბუკებმაც), კალათბურთსა (ვაჟები) და ჭადრაკში. გულშემატკივრები გაახარეს მე-10 საშუალო სკოლის (მასწავლებელი რ. კარტოზია) ველოსიპედისტებმა, თავისუფალი და კლასიკური ტიპის მოჭიდავეებმა, რომლებიც სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ.

კ. მიქაია.

იმსჯელეს, განიხილეს...

ზუგდიდელებს ეამაყებათ, რომ მათი აღზრდილი ტანმოვარჯიშეები, ველოსიპედისტები და მძლეოსნები რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში შედ ი ა ნ. მაგრამ იმასაც თავადვე ამბობენ, რომ ასეთ სპორტსმენთა რიცხვი ჯერ კიდევ მცირეაო.

სწორედ ამაზე ჰქონდათ საუბარი ზუგდიდის ბავშვთა სპორტის მესვეურთ საქართველოს მოსწავლეთა XX რესპუბლიკური სპარტაკიადის დამთავრების შემდეგ. ითქვა, რომ წლეულს მძლეოსნებმა და მოჭადრაკეებმა ვერ გაამართლეს იმედი, თუმცა ზოგიერთი სპორტსმენი საუცხოოდ გამოვიდა. მაგალითად, მძლეოსანმა ა. უურწუამ II ადგილი დაიკავა 400 მ რბენაში, ხოლო მოჭადრაკე ო. ბენდელიანმა I ადგილი გაიყო.

— ჩვენი ამოცანაა განვამტკიცოთ სპორტული მიღწევები და საქართველოს ნაკრებს მეტი პერსპექტიული სპორტსმენი აღვუზარდოთ, — თქვა ზუგდიდის განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორმა გ. ლოგუამ. — არ უნდა დაგვამშვიდოს იმ ამბავმა, რომ სპარტაკიადის მეორე ჯგუფის გუნდებს შორის ჩვენი ველოსიპედისტები და ტანმოვარჯიშე ვაჟები პირველნი იყვნენ, ხოლო ტანმოვარჯიშე გოგონები მეორე ადგილზე გავიდნენ. არც სპორტის სხვა სახეობებში უნდა ჩამოვრჩეთ.

ზ. დგებუაძე.

ჩვენი ოლიმპიელები

ერთ თვეზე ნაკლები დრო დარჩა მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშების გახსნამდე. ჰელსინკის ოლიმპიადიდან დაწყებული ყველა მომდევნო თამაშებზე სსრ კავშირის ნაკრების წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ საქართველოს სპორტსმენებს. გამონაკლისი ალბათ, არც მეხიკოს ოლიმპიადა იქნება. გაზეთი „ლელო“ დღეიდან იწყებს წერილების სერიას საქართველოს იმ სპორტსმენებზე, რომლებიც მეხიკოში იასპარეზებენ.



საბჭოთა სპორტული ხასიათი? — თავმდაბლობა და ნებისყოფა!

ამბობენ, სამხრეთელები ტემპერამენტიანი ადამიანები არიან, საწყენ სიტყვაზე მალე ფეთქდებიანო. ალბათ, ეს ასეცაა. ის კი სრულებით არ ჰგავს თანამემამულეებს. მრავალი წელია ვიცნობ და მაკვირვებს მისი აღუშფოთველობა, რკინისებური თავშეკავებულობა. თითქოს არაფერს შეუძლია მისი წონასწორობიდან გამოყვანა, აღელვება, ვერაფრით ათქმევინებ უხეშ სიტყვას.

სპორტიც თავისი ხასიათის მიხედვით აირჩია. კალათბურთი კი არა, მისი თავბრუდამხვევი კომბინაციებით, არც სამთო-სათხილამურო სპორტი თავისი სწრაფვის გატაცებით, არც ჭიდაობა, რომელიც ასე პოპულარულია მის სამშობლოში.

მან ამჯობინა სროლა — მდუმარე, წყნარი, ვაჟკაცური სპორტი. აქ ცეცხლის ხაზზე არაფერი ესაქმებათ მათ, ვისაც ნერვები ღალატობს, ვისაც არ შეუძლია დაეუფლოს თავის თავს...

იგი უკვე იყო ქვეყნის ჩემპიონი. მსოფლიო რეკორდზე უკეთესი შედეგები უჩვენებია. როცა 1964 წლის ოლიმპიური გუნდი კომპლექტდებოდა, მაშინ ნაკრებში მიწვევით კი მიიწვიეს, მაგრამ ტოკიოში წაყვანას როდი უპირებდნენ. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო ბოლო მომენტამდე (სწორედ ბოლო მომენტამდე) და მაინც წაიყვანეს. აქ თავი როდი შეირცხვინა. იაპონიიდან დაბრუნდა, როგორც თამაშების ვერცხლის პრიზიორი. სხვათა შორის, მისი მედალი მაშინ ერთადერთი აღმოჩნდა ჩვენს მსროლელთა გუნდში.

ტოკიოს ოლიმპიადის შემდეგ დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და პარტიულ სამუშაოზე გაგზავნეს. საინტერესო საქმესა და მოვლენებში ჩაფლული სინანულს გამოთქვამდა, რომ აღარ შეუძლია სპორტს წინანდელივით ბევრი დრო დაუთმოს. გადაწყვეტილება, თავი დაენებებინა სროლისთვის, ერთხანს საბოლოო ეჩვენებოდა. იარაღისთვის თითქმის სამ წელს არ უხლია ხელი. და აი, სწორედ აქ, მის ცხოვრებაში პირველად, უღალატა „თავშეკავებამ“ — დაუბრუნდა სპორტს, ურომლისოდ ცხოვრება ვერ წარმოუდგენია.

და აი, სპორტის დამსახურებული ოსტატი შ. ქველიაშვილი მეგობრებთან ერთად მეხიკოს სტარტისთვის ემზადება. მომავალ შეჯიბრებებზე, მოსალოდნელ მეტოქეებზე, მედლების მოპოვების შანსებსა და პროგნოზებზე საუბარი ვარჩიე. ვიჯექით ერთი საათი, მეორე (თანამოსაუბრეც ასეთია — აუღელვებელი, დაფიქრებული, ყველაფერს წონის, თითო სიტყვას ატრიალებს, თითქოს ტყვიას სავაზნეში ასწორებდეს გასროლის წინ), საუბარი რაღაც ზედაპირული გამოგვივიდა, რომელიც სხვათა შორის შეეხო მექსიკის პრობლემებს. ერთი შეხედვით, ასე შეიძლება გეჩვენოთ, ვინაიდან მე არა მაქვს კონკრეტული კითხვები მეხიკოზე, არც მის პასუხებშია რაიმე სარწმუნო — იქნება თუ არა ჩემპიონი.

● **სპორტში და კერძოდ, სროლაში მიღწევათა დონე ახლა ისეთი მაღალია, რეკორდები ისე სწრაფად იზრდება, რომ დიდი მასშტაბის ტურნირებში წარმატების იმედი საეჭვოა ვარჯიშზე დიდძალი ენერგიის დაუხარჯავად. მითხარით შოთა, თქვენის აზრით, რა უბიძგებს სპორტსმენს ამ მძიმე სამუშაოსკენ, რა აიძულებს იშრომოს შვიდგზის ოფლის მოწმენდამდე?**

— ამგვარ კითხვებზე უმეტესად პასუხობენ ზოგადად: პასუხისმგებლობის გრძნობა, ასახელოს თავისი ქვეყანა, თავისი ხალხი. ეს ცარიელი სიტყვები როდია, მათში ღრმა აზრია. მჯერა, ჩემი ყველა მეგობარი ასე ან დაახლოებით ამგვარად ფიქრობს. თუ გსურთ კონკრეტულად...

კონსტანტინე სიმონოვმა როგორღაც ზუსტად შენიშნა: სამშობლო იწყება იმ სამი არყის ხიდან, რომლებიც შენს სახლთან დგანან. საქართველოში, ზესტაფონის რაიონში არის პატარა სოფელი თუზი. მე იქ დავიბადე და დავამთავრე 8 კლასი. კარგა ხანია არ ვყოფილვარ სამშობლოში, სადაც ჩემი ნათესავები და თანატოლები ახლაც ცხოვრობენ. ტოკიოს ოლიმპიადის შემდეგ თანასოფლელებმა ახალგაზრდობის შეხვედრაზე მიმიწვიეს. რა საინტერესო საღამო იყო! და, იცით, მე სწორედ აქ მივხვდი, რომ თუ ვინმემ რამე ახალი გაიგო, ეს მე ვიყავი და არა ჩემი მსმენელები. ბევრმა გაზეთების, წიგნების, კინოფილმების საშუალებით უკვე იცოდა იმის შესახებ, რაც შეკრებილთ ოლიმპიური შეჯიბრების შესახებ მოვუყევი. მე კი დავდიოდი, ვათვალიერებდი, ვუსმენდი, მიხაროდა თანამემამულეთა წარმატებანი შრომასა და სპორტში.

ხდება: გაწამდები, ვარჯიშზე დაიღლები, არ გამოდის სროლა, მორჩა და გათავდა. ამგვარ მომენტში ცდილობ სხვაგვარად გაერთო. მოიგონებ რაღაც მახლობელს, სასიამოვნოს. მე მძიმე წუთებში მუდამ თვალწინ მიდგას თუზელი გოგონები და ჭაბუკები, რომლებიც მჯერა ჩემს წარმატებას რომ გაიგონებენ, მეშვიდე ცაზე ავლენ. უფლება მაქვს მათ იმედები გავუცრუო?

● **გყავთ თუ არა კერპი და ვინაა იგი?**

— თქვენ, ვიმედოვნებ, არ ელით, რომ დავასახელებ რომელიმე ცნობილ სნაიპერს, ან სპორტის სხვა სახეობის წარმომადგენელს. ჩემი კერპი, ყოველ შემთხვევაში, სპორტსმენი არაა, თუმცა იგი სპორტთანაც ახლოს იყო.

უნივერსიტეტში შესვლისას ქართულ ენაში გამოცდაზე დავწერე თხზულება თემაზე „ჩემი საყვარელი გმირი“. დავწერე ჰემინგუეიზე, შესანიშნავ ადამიანსა და მწერალზე, რომელმაც მეტად მძიმე, მაგრამ ნათელი ცხოვრებით იცხოვრა. ყველაფერი, რასაც მან მიაღწია, არა მარტო დიდი ნიჭის, არამედ შრომის, შეუპოვრობის, მიზანსწრაფვის ნაყოფი იყო. როგორ უყვარდა მას სპორტი, როგორ აფასებდა!

ჰემინგუეი ნამდვილი სპორტსმენი იყო, ამ სიტყვის ყველაზე უკეთესი, ყველაზე ამაღლებული გაგებით. სპორტსმენი — ეს პირველ რიგში ხასიათია. ჰემინგუეი უბრალოდ საყვარელი მწერალი როდია, იგი ადამიანია, რომელსაც ვცდილობ მუდამ და ყველაფერში მივბაძო.

● **თავისი მასშტაბითა და მნიშვნელობით ოლიმპიურ თამაშებს თანამედროვე სპორტში ბადალი არ აქვს. თქვენ რაში ხედავთ ოლიმპიადის მთავარ თავისებურებას, რომლებითაც იგი სხვა დიდი ტურნირებისგან — მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებისგან განსხვავდება?**

— თქვენ არასოდეს დაფიქრებულხართ კითხვაზე: რატომაა, რომ მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონებსა და რეკორდსმენებს შემდეგში „ექსს“ უმატებენ. ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულთათვის კი იგი არ არსებობს. ეს ალბათ, უბრალო ამბავი არაა. ოლიმპიური ჩემპიონი მუდამ ოლიმპიური ჩემპიონია. ამ წოდების მოპოვება ძნელია თუნდაც იმიტომ, რომ ყველაზე იშვიათად თამაშდება. მაშასადამე, სურვილიც სხვაა: ვის არ უნდა გამოირჩეოდეს საუკეთესოთა შორის საუკეთესოების მსოფლიო შეკრებაზე?

ჩვენთვის, მსროლელებისთვის ოლიმპიურ თამაშებს კიდევ ერთი წმინდა სპორტული თავისებურება აქვს. სროლაში ნებისმიერი შეჯიბრება — ეროვნული თუ საერთაშორისო — ტარდება, როგორც პირად-გუნდური: ყველა ვარჯიშში გამოდიან გუნდები 5 მსროლელით. თუ ერთი მონაწილე წარუმატებლად ისვრის, ეს მარცხს როდი ნიშნავს: მეგობრებს შეუძლიათ მდგომარეობის გამოსწორება. ოლიმპიადაზე კი არავისი იმედი არ უნდა გქონდეს, ვინაიდან ასპარეზობა პირადი ხასიათისაა და მონაწილე ქვეყანას უფლება აქვს ყოველ ვარჯიშში მხოლოდ 2 სპორტსმენი გამოიყვანოს, რაც დამატებით სიძნელეებს და მაშასადამე, ოქროს მედლის მოპოვების დამატებით სტიმულსაც ქმნის.

● **ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ საბჭოთა სპორტულ ხასიათზე. როგორია თქვენი აზრით, მისი თავისებურებანი, მისი ძირითადი ნიშნები?**

— მე გამოვყოფდი ორს — თავმდაბლობასა და გამარჯვების ნებისყოფას.

ჩემი წარმოდგენით, დიდი სპორტსმენი აუცილებლად თავმდაბალი უნდა იყოს. ვინც ამ თვისებას ჰკარგავს, ივიწყებს მას, კარგს არც უნდა ელოდეს. ასეთი ჰკარგავს პატივისცემას. ჩემს მეგობართა შორის არიან მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენები, რომელთა სპორტული დიდება მთელ მსოფლიოს სწვდება, მაგრამ დიდება მათ თავბრუს როდი ახვევს, ისინი თავმდაბალი, სათანადოდ აღზრდილი, სხვათა პატივისმცემელნი, ნამდვილად ინტელიგენტური ადამიანები არიან.

ნამდვილი საბჭოთა სპორტსმენი მუდამ გამოირჩეოდა გამარჯვების ნებისყოფითაც. მე ვიცი ცნობილი საზღვარგარეთელი სპორტსმენები, რომლებისთვისაც არაფერია ასპარეზობის ისე მიტოვება, რომ ვარჯიში არ დაამთავრონ, მაგალითად, უხეირო სტარტის გამო. ასეთები პატივისცემის ღირსნი არ არიან. რაღა სპორტსმენი ხარ, თუ პირველი დაცილებისთანავე ხელებს ჩამოუშვებ და საკუთარ თავს კი არა, ამხანაგებსაც უღალატებ.

გ. აკოფოვი.

* * *

სურათზე: შ. ქველიაშვილი.

სროლა

ოლიმპიური რეკორდები

სახეობა	შედეგი	რეკორდსმენი	ადგილი	წელი
ნებისმიერი შაშხანა (3×40)	1153	ჰ. ანდერსონი (აშშ)	ტოკიო	1964
მცირეკალიბრიანი შაშხანა (3×40)	1164	ლ. ვიგერი (აშშ)	ტოკიო	1964
წოლელა 60 გასროლა	597	ლ. ჰამერტი (უნგრეთი)	ტოკიო	1964
მცირეკალიბრიანი პისტოლეტით (25 მ 60 გასროლა)	592	პ. ლინოსვუო (ფინეთი)	ტოკიო	1964
50 მ 60 გასროლა	560	ა. გუშჩინი (სსრ კავშირი)	რომი	1960
სასტენდო სროლა ადგილიდან	198	ე. მატარელი (იტალია)	ტოკიო	1964

მეხიკოს სიგნალები

მელბურნი, 12 სექტემბერი. 4 ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელმა ავსტრალიელმა მოცურავემ მ. როუზმა ოფიციალურად განაცხადა, რომ მეხიკოში ვაჟთა ყველა ოქროს მედალს ამერიკელები მოიპოვებენო. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ბრასი და გულაღმა ცურვა. ბრასში ამერიკელებს სერიოზულ მეტოქეობას გაუწევენ საბჭოთა სპორტსმენები. გულაღმა ცურვაში მედლის მთავარ პრეტენდენტად კი რ. მათესი (გდრ) მიმაჩნიაო.

ოსლო, 13 სექტემბერი. **ფინეთისა და ნორვეგიის მძლეოსანთა მატჩში ჩრდილოეთის ქვეყნების 2 რეკორდი დამყარდა. მათი ავტორები არიან ქალების სიგრძეზე ხტომაში — ბ. ტოიონ-ბერტელსენი — 656 სმ და ე. ჰაიმი, რომელმაც 800 მეტრი 2 წუთსა და 5,9 წამში გაირბინა.**

ვარშავა, 13 სექტემბერი. ოლიმპიურ თამაშებზე წასვლამდე პოლონელმა მძლეოსნებმა ძალები მოსინჯეს ლოძსა და ვარშავაში. ლოძში 1500 მეტრზე რბენაში ქვეყნის რეკორდსმენმა ვ. ბარანმა ამ დისტანციაზე 3.40,8 აჩვენა. ლ. კრავცევიჩის შუბი 54,84 მ-ზე დაეცა, ი. გლოგოვსკისა კი — 80,20 მ-ზე. ვარშავაში ი. კირშენშტეინ-შევინსკამ 100 მ 11,5 წამში გაირბინა.

სხვადასხვა ამბები

● **მინსკი, 14 სექტემბერი.** ბელორუსიის მძლეოსანთა ტურნირში კარგი შედეგები მოიპოვეს მრავალჭიდელებმა. სპორტის ოსტატმა ი. დამოვიჩმა ათჭიდში 7412 ქულა დააგროვა, ვ. კოვალმა კი ხუთჭიდში — 4450 ქულა აჩვენა.

● **მოსკოვი,** 14 სექტემბერი. **ლუჟნიკის აუზში გაიმართა საკავშირო ტურნირი იმ მოცურავეებისთვის, რომლებიც ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში ვერ მოხვდნენ. 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ასპარეზობაში პირველობა მოიგო დინამოელმა ი. გრივენიკოვმა — 55,8. ქალებში ყველას აჯობა ხარკოველმა ლ. მარტინოვამ — 1.04,4. 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მსოფლიოს ექს-რეკორდსმენმა ა. დუნაევმა მხოლოდ VI შედეგი აჩვენა. ყველას ვოლგოგრადელმა ა. დანილოვმა აჯობა — 2.17,4.**

„კენტავრები" ბრძოლისთვის ემზადებიან

საბჭოთა ცხენოსნები ოლიმპიადის წინ

8 წლის წინათ რომის პარკის—ვილა ბორგეზეს მანეჟზე საბჭოთა არმიის ოფიცერმა ს. ფილატოვმა მოიგო ოლიმპიური ასპარეზობა ცხენის გახედნაში. მას შემდეგ ამ სახეობის ყოველ შეჯიბრებაში ფავორიტთა შორის იყვნენ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები. ი. კალიტას, ი. კიზიმოვის სახელები კარგადაა ცნობილი საერთაშორისო სარბიელზე. მათთან ერთად მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში საასპარეზოდ ემზადება სსრ კავშირის ნაკრების დებიუტანტი, ქვეყნის ორგზის ჩემპიონი ცხენის გახედნაში ე. პეტუშკოვა. აი, რას მოგვითხრობს თავის თავზე პეტუშკოვა:

— ყველაფერი უბრალოდ დაიწყო. მეგობარმა გოგონამ დამპატიჟა სოკოლნიკში ცხენით გავისეირნოთო. იქ არსებობდა საამონემენტო ჯგუფი, რომელშიც ყველა მსურველს შეეძლო მეცადინეობა. მე წავყევი და მას შემდეგ ცხენოსნობით „დავსნეულდი". თავიდანვე გამიმართლა: მოვხვდი ძლიერ სპორტულ საზოგადოება „უროჟაიში" — საცხენოსნო სპორტის დიდ მცოდნეებთან. მათი ცოდნა დამეხმარა ჯერ სპორტის ოსტატი გავმხდარიყავი, შემდეგ სსრ კავშირის ჩემპიონი, ხოლო ახლა ოლიმპიური გუნდის წევრი.

სპორტმა არა მარტო ცნობილი გამხადა, არამედ, დამეხმარა პროფესიაც ამერჩია. მე დავამთავრე მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დავიცავი დისერტაცია, გავხდი ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი და უნივერსიტეტის ბიოლოგიის კათედრაზე ვმუშაობ. ასე, რომ, ახლა სულ ცხოველებთან მიხდება მუშაობა: უნივერსიტეტშიც და უნივერსიტეტის გარეთაც. ვოცნებობ გავხდე ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი და ოლიმპიური ჩემპიონი.

პეტუშკოვას ოცნება ოლიმპიურ ოქროზე სავსებით დროულია. მექსიკის თამაშების დაწყებამდე ცოტა დრო დარჩა. მალე გზა გვიხმობს.

გახედნაში საბჭოთა გუნდის მწვრთნელი გ. ანასტასიევი ძალიან მაღალ შეფასებას აძლევს თავისი სპორტსმენების ოლიმპიურ შანსებს. იგი ამბობს:

— სსრ კავშირის ნაკრები გახედნაში წარმოდგენილი იქნება კიზიმოვით (ცხენი „იხორი"), კალიტათი („აბსენტი") და პეტუშკოვათი („პეპლი"). ყველა ისინი კარგად არიან ცნობილი გულშემატკივრებისა და უცხოელი მსაჯებისთვის. ყველანი სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონები არიან, მონაწილეობდნენ მრავალრიცხოვან საერთაშორისო შეჯიბრებებში. უნდა ითქვას, რომ მეტოქენიც ძლიერები არიან, განსაკუთრებით გფრ-ის მხედრები — 1968 წლის ევროპის ჩემპიონი რ. კლიმკე, ქვეყნის ჩემპიონი ი. ნეკერმანი და ლ. ლიზენგოფი. ყოველი მათგანი უმაღლესი ტიტულის რეალური პრეტენდენტია.

საბჭოთა ოსტატებიდან ოლიმპიური ჩემპიონის წოდების მოპოვების დიდი შანსები აქვს კიზიმოვს, რომელიც კლიმკეს მხოლოდ 3-4 ქულით ჩამორჩება. მცოდნეთა აზრით, გახედნაში სსრ კავშირის ჩემპიონი პოტენციურად ევროპის ჩემპიონზე ძლიერია. მაგრამ შეჯიბრების დროს ბევრი რამაა დამოკიდებული არბიტრებზე.

გუნდურ ჩათვლაში სსრ კავშირისა და გფრ-ის სპორტსმენებს მეტოქეობას გაუწევს შვეიცარიის ნაკრებიც, რომელსაც ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გ. შამორტენი მეთაურობს. გამორიცხული არაა სიურპრიზებიც, მაგრამ, საერთოდ, საბჭოთა გუნდის შანსები უფრო დიდია.

ცხენის გახედნა ოლიმპიური თამაშების პროგრამის მხოლოდ ნაწილია. სპორტსმენები გამოვლენ აგრეთვე, სამჭიდში და დაბრკოლებათა გადალახვაში.

სამჭიდში საბჭოთა ცხენოსნების შანსები მედლებზე არც თუ დიდია.

— თუმცა ჩვენი სამჭიდელები ევროპის 1962 და 1965 წლების ჩემპიონები არიან, ჩვენ მაინც მტკიცედ არ შეგვიძლია ვიმედოვნებდეთ საპრიზო ადგილების მოპოვებაზე, — სთქვა საბჭოთა ცხენოსნების გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ნ. შელენკოვმა. პროგრამის ამ სახეობაში მეხიკოში ძალიან მძაფრი კონკურენციაა მოსალოდნელი. ოქროსთვის, პირველ რიგში, იბრძოლებენ ოლიმპიადის მასპინძლები. ყველაფერი დამოკიდებული იქნება საველე გამოცდაზე. მექსიკელები შესანიშნავი მხედრები არიან და აუცილებლად რთულ ტრასას შეარჩევენ, რომელიც მათთვის ჩვეულებრივი იქნება, მაგრამ მოულოდნელი, — მეტოქეთათვის.

საბჭოთა სპორტსმენების ოთხეული ასე გამოიყურება: პ. დეევი, ა. ევდოკიმოვი, ლ. ბაკლიშკინი და ლ. გაზიუმოვი. იგი ბრძოლაში ჩაებმება არა მარტო ოლიმპიადის მასპინძლებთან, არამედ კონტინენტზე ჩვენს ძირითად მეტოქეებთანაც — ყველა შეჯიბრებაში სტაბილურად მოასპარეზე ინგლისელებთან და იტალიელებთან, რომლებიც ოლიმპიური თამაშებისთვის უცხოელი კონკურენტებისგან საიდუმლოდ ემზადებიან. უძლიერესთა ექვსეულში ჩვენ აუცილებლად ვიქნებით.

საცხენოსნო შეჯიბრების ყველაზე უფრო წარმტაც სახეობაში — დაბრკოლებათა გადალახვაში საბჭოთა სპორტსმენებმა ექვსეულში მოხვედრისთვის, შეიძლება მედლებისთვისაც კი იბრძოლონ. ამ სახეობაში სსრ კავშირის 1968 წლის ჩემპიონი ვ. ნენახოვი ამბობს:

— ოლიმპიურ კანდიდატთა სამეულში ჩემს გარდა, ჯერჯერობით კიდევ სამი პრეტენდენტია — ვ. კარტავსკი, გ. სამოსედენკო და ე. კუზინი. თუ რომელი ვერ მოვილებთ მეხიკოს საგზურს, მეძნელება ამის თქმა. კანდიდატთა ძალები დაახლოებით თანაბარია. თვითეული ჩვენთაგანი ემზადება ოლიმპიადაში ისე გამოსვლისთვის, რომ შინ მედლით დავბრუნდეთ.

ვ. ანისიმოვი.





სპორტის ერთ-ერთი სახეობაა ტანვარჯიში, რომელშიც მეხიკოს ოლიმპიადაზე საბჭოთა სპორტსმენებს წარმატების იმედი აქვთ. ასე იყო წინათაც. ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების შემდეგ სსრ კავშირის ტანმოვარჯიშეები მუდამ მოწინავე პოზიციებზე იყვნენ. მეხიკოში მოასპარეზე ჩვენს გუნდში უმეტესად ახალგაზრდები იქნებიან. მათი ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია ლ. პეტრიკი. ამ გოგონასგან სპეციალისტები ბევრს ელიან და თუ რამდენად გაამართლებს იმედს ლარისა, ოქტომბრის მეორე ნახევარში შევიტყობთ.

სურათზე: პეტრიკი ასპარეზობისას.

გოლო ტური გადაწყვეტს

ვორონეჟი, 14 სექტემბერი. **(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).** რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ტურის შედეგებს უკვე ვიტყობინებოდით და იმასაც ვწერდით, რომ თბილისის „ლოკომოტივისა" და მოსკოვის „დინამოს" მატჩში თბილისელებს ბევრი შესაძლებლობა ჰქონდათ თამაშის მსვლელობა თავიანთ სასარგებლოდ შემოებრუნებინათ, მაგრამ ვერ მოახერხეს, ვინაიდან მათი მეტოქენი უფრო ორგანიზებულად თამაშობდნენ და შერკინებასაც აქტიურად ატარებდნენ. როგორც ჩანს, „ლოკომოტივმა" კარგად გაითვალისწინა მაშინდელი შეცდომები და ლენინგრადის „ბურევესტნიკთან" მეორე ტურის შეხვედრაში სულ სხვანაირად ითამაშა. მართალია, საქართველოს სპორტსმენებმა პირველი ნახევარი წააგეს 0:3, მაგრამ მეორე ტაიმის მე-10 წუთზე ხაჭაპურიძემ საჯარიმო დარტყმით გაათანაბრა ანგარიში, კიდევ 15 წუთის შემდეგ კი ჯაფარიძემ გუნდს ახალი წარმატება მოუტანა: მან ბრწყინვალედ დაამთავრა თანაგუნდელების რეიდი და ბურთი „ბურევესტნიკის" ჩასათვლელ მოედანზე დადო, რის შემდეგ „ლოკომოტივმა" რეალიზაციის უფლება მიიღო. რეალიზაცია ზუსტად გამოიყენა ხაჭაპურიძემ—8:3.

დარჩენილ დროში მეტოქეთა ორმხრივ ცდას შედეგი არ მოჰყოლია.

შეჯიბრების ლიდერმა, მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის გუნდმა სატურნირო ცხრილში კიდევ 2 ქულა ჩაიწერა. ამ დღეს მან დაამარცხა მოსკოვის „დინამო" — 11:3.

ბოლო ტურის წინ მოსკოვის უმაღლესი-ტექნიკური სასწავლებლის კოლექტივს 4 ქულა აქვს, თბილისის „ლოკომოტივსა" და მოსკოვის „დინამოს" — 2-2, მაგრამ ბურთების უკეთესი შეფარდებით ერთგვარი უპირატესობა „დინამოს" მხარესაა. საპრიზო ადგილების ბედი, ფაქტიურად, ბოლო ტურმა უნდა გადაწყვიტოს. აქ ერთმანეთს ხვდებიან მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი და თბილისის „ლოკომოტივი", მოსკოვის „დინამო" და ლენინგრადის „ბურევესტნიკი".

უკანასკნელი საათი...

◆ **პარიზი, 14 სექტემბერი.** ბელგიელმა მ. კულონმა მოიგო საფრანგეთის მოყვარულთა მრავალდღიანი ველორბოლა „ტურ დე ლ' ავენირი". ქალაქ ტონონ-ლე-ბენის ირგვლივ 144 კილომეტრის გავლას მან 3:46.35 მოანდომა. ჩვენს სპორტსმენთაგან საუკეთესო კუიბიშეველი ვ. ივაშინი იყო, რომელმაც აჩვენა 3:46.55 და VI ადგილი დაიკავა. წლევანდელ რბოლაში მონაწილეობს ბელგიის, დანიის, იტალიის, ლუქსემბურგის, შვეიცარიის, სსრ კავშირის, იუგოსლავიისა და საფრანგეთის 80-მდე სპორტსმენი. გუნდურ ჩათვლაში ლიდერია ბელგიის ნაკრები. რბოლის დისტანცია 1560 კმ-ით განისაზღვრება და ათ ეტაპადაა დაყოფილი. ფინიში გაიმართება 22 სექტემბერს.

ლარსენი ფიდე-ს უქიქინებს

როგორც ცნობილია, უახლოეს ხანში ბ. ლარსენი და მ. ტალი უნდა შეხვდნენ ერთმანეთს მატჩში პრეტენდენტთა ტურნირის III ადგილისთვის, რაც 1970 წლის საზონათშორისო ტურნირში თამაშის საგზურს იძლევა. ამას წინათ ლარსენმა განაცხადა: „თუ მატჩი ფიდე-ს კონგრესამდე მოეწყო, ტალი უბრძოლველად მოიგებს მას. მე მეტს აღარ ვითამაშებ ამ სისტემით".

რა მოხდა? რამ გამოიწვია ლარსენის სასოწარკვეთილი სიტყვები?

საქმე ისაა, რომ დანიელი დიდოსტატი უკმაყოფილოა მსოფლიო პირველობის გათამაშების სისტემით, რომელიც ფიდე-მ ამ ოთხი წლის წინათ შემოიღო.

„არსებული სისტემა, — ამბობს ლარსენი, — ეს მოჭადრაკეთა ექსპლოატაციაა. მაღალი ადგილის იმედი რომ გქონდეს, სულ უნდა იმუშაო. პრეტენდენტთა შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის აუცილებელია სამი მატჩის მოგება, რასაც მომზადებიანად ხუთ თვეზე მეტი დრო სჭირდება. ამის ასანაზღაურებელი ფიდე-ს პრიზი კი საერთო ჯამში მხოლოდ 6 ათას კრონს (დაახლოებით 700 მანეთს) შეადგენს. მე მეტს აღარ ვითამაშებ ამ შეჯიბრებებში".

ამ საკითხში ლარსენს დანიის ფედერაციის დიდი მხარდაჭერის იმედი არა აქვს, რადგან მისი თანამემამულენიც პატარა ჯილდოს მომხრე არიან.

ლარსენს იმედი აქვს, რომ ფიდე-ს კონგრესი, რომელიც XVIII საჭადრაკო ოლიმპიადის დღეებში ლუგანოში შედგება, დააკმაყოფილებს მის თხოვნას და მაშინ კი იგი ტალსაც შეხვდება.

როგორც ხედავთ, ლარსენი იზიარებს ამერიკელი დიდოსტატის რ. ფიშერის შეხედულებას, რომ ფიდე დიდოსტატებს უმნიშვნელო გასამარჯელოს უხდის შრომისთვის. მაგრამ რა ჰქნას ფიდე-მ, რომელიც მხოლოდ საწევროების ხარჯზე არსებობს.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 00879